

გზამკვლევი

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო

პროგრამაზე

ჩასარიცხი კანდიდატებისთვის



2017

თბილისი

სარჩევი

1. პროგრამის მიმოხილვა:

- 1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერილობა;
- 1.2. პროგრამის მიზანი;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის/ამორიცხვის წინაპირობა:

- 2.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
- 2.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა;
- 2.3. მისაღები გამოცდები;
- 2.4. საგანმანათლებლო პროგრამიდან ამორიცხვა;

3. შეფასების სისტემა;

4. საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულის სწავლის შედეგები:

- 4.1. ცოდნა და გაცნობიერება;
- 4.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- 4.3. დასკვნის უნარი;
- 4.4. კომუნიკაციის უნარი;
- 4.5. სწავლის უნარი;
- 4.6. ღირებულებები;
- 4.7. სწავლება-სწავლის მეთოდები;

5. დასაქმების სფეროები;

6. თავდაცვის ანალიზის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები საგამოცდო ტესტისათვის მოსამზადებელი საკითხები:

1. პროგრამის მიმოხილვა:

1.1. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგადი აღწერილობა;

პროგრამის დასახელება: თავდაცვის ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 120 ECTS კრედიტი.

საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2 წელი

საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსები:

ძირითადი სასწავლო კურსები

- სამხედრო ოპერაციების წარმოების საფუძვლები
- ლიდერობა და მენეჯმენტი
- თავდაცვის დაგეგმვა, პროგრამირება და მენეჯმენტი
- სტაბილურობის შენარჩუნების და სამოქალაქო მხარდაჭერის ოპერაციები
- სამხედრო კამპანიების დაგეგმვა და აღსრულება
- საერთაშორისო და ქვეყნის შიდა უსაფრთხოება
- კომუნიკაცია
- კვლევის მეთოდები და დიზაინი
- საგარეო პოლიტიკის ანალიზი
- ომის თეორია და სამხედრო ხელოვნების ისტორია
- ომის ტრანსფორმაცია - ჰიბრიდული და ასიმეტრიული ომები.
- სამაგისტრო ნაშრომი

სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები

- ბატალიონის ოპერაციები -სავალდებულოა სამხედრო მოსამსახურეთათვის
- ბრიგადის ოპერაციები -სავალდებულოა სამხედრო მოსამსახურეთათვის
- შედარებითი პოლიტიკა
- საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა
- საქართველოს ახალი და უახლესი ისტორია
- საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის თეორიული მიდგომები
- საერთაშორისო ორგანიზაციები
- მედია და არასამთავრობო ორგანიზაციები
- დაზვერვა და კონტრაზვერვა
- ევროპის უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები
- სამეცნიერო კვლევის პრაქტიკული სემინარი

1.2. პროგრამის მიზანი;

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანს წარმოადგენს კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება თავდაცვის ანალიზის სპეციალიზაციით.

- კურსდამთავრებულებს უნდა შეეძლოთ უპასუხონ საქართველოს თავდაცვის სფეროში არსებულ გამოწვევებს.
- მონაწილეობა მიიღონ სამხედრო პოლიტიკისა და თავდაცვითი სტრატეგიის დახვეწასა და მათ სათანადო განხორციელებაში.
- გამოიყენონ მიღებული განათლება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის/ამორიცხვის წინაპირობა:

2.1. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განსაზღვრავს პროგრამაზე მისაღებ კონტინგენტს.

პროგრამაზე სწავლის მსურველებს უნდა ჰქონდეთ არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

სამაგისტრო პროგრამაზე ჩასარიცხად:

- მსურველმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა და მისაღები გამოცდა სპეციალობაში (მისაღები გამოცდის თემატიკა გამოქვეყნდება აკადემიის ვებგვერდზე www.eta.edu.ge მისაღები გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე, ასევე მოცემულია სამაგისტრო პროგრამის გზამკვლევის მე-6-ე თავში). საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- სამხედრო მოსამსახურეები დამატებით აბარებენ სამეთაურო საშტაბო სკოლის მისაღებ გამოცდას.
- ინგლისური ენის სგამოცდა (მინიმუმ CEF B2 ან STANAG 2;2;2) ან წარმოადგინოს ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი.
- გაიაროს გასაუბრება. (მხოლოდ სამოქალაქო პირებისთვის)

2.2. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება სამხედრო (მაიორი და ვ/პოლკოვნიკი) ან/და სპეციალური წოდების მქონე სამხედრო მოსამსახურეები და თავდაცვის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამოქალაქო პირები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება საერთო სამაგისტრო გამოცდის, სამეთაურო საშტაბო პროგრამის მისაღები გამოცდის (მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეებისათვის), თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის მისაღები გამოცდის, ინგლისურ ენაში გამოცდის (ან შესაბამისი სერთიფიკატის წარდგენის: მინიმუმ CEF B2 ან STANAG 2;2;2) ჩაბარების და გასაუბრების (მხოლოდ სამოქალაქო პირთათვის) შედეგად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება მისაღები გამოცდის შედეგად ჩამოყალიბებული რეიტინგის მიხედვით.

2.3. მისაღები გამოცდები:

საერთო სამაგისტრო გამოცდა: მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციას გაივლიან ინტერნეტით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.gov.ge; online.naec.ge) რეგისტრაციის ვადები, გამოცდების თარიღები და სხვა ინსტრუქციები იქნება განთავსებული იგივე ვებგვერდზე .

სამეთაურო საშტაბო პროგრამის მისაღები გამოცდა: ჩაბარებენ მხოლოდ სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველი სამხედრო მოსამსახურეები. აღნიშნული გამოცდის თემატიკა მოცემულია სამეთაურო საშტაბო კურსის მისაღები გამოცდების გზამკვლევაში. გამოცდა ჩატარდება თავდაცვის ეროვნული აკადემიის ტერიტორიაზე, აგვისტო/სექტემბრის პერიოდში (დაზუსტებული ვადები იქნება დამატებით გამოქვეყნებული).

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის მისაღები გამოცდა: მისაღები გამოცდის კითხვები მოიცავს საქართველოს თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ბაზას, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს და სამხედრო ისტორიას. ტესტში მოცემული იქნება 25 დახურული ტიპის შეკითხვა (შეკითხვა და ოთხი სავარაუდო პასუხი). თითოეული სწორი პასუხი შეფასდება 2 ქულით. გარდა ამისა კანდიდატებმა უნდა დაწერონ 1 არგუმენტირებული ესე, რომელიც შეფასდება მაქსიმუმ 50 ქულით (სულ ჯამში 100 ქულა). გამოცდა ჩაბარებულად ითვლება მინიმუმ 61 ქულის მიღების შემთხვევაში.

გასაუბრება: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მსურველ კანდიდატებთან გასაუბრება განხორციელდება, მისაღები გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდგომ (დაზუსტებული ვადები იქნება დამატებით გამოქვეყნებული).

პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება გამოცდებში მიღებული ქულების და გასაუბრების შედეგების საფუძველზე.

2.4. სტატუსის შეწყვეტა, საგანმანათლებლო პროგრამიდან ამორიცხვა:

სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება უკავშირდებოდეს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან იუნკერის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას. საგანმანათლებლო პროგრამის ნებისმიერ სასწავლო კურსში იუნკერმა უნდა დააგროვოს სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასების 100 ქულიდან 51 ქულა მაინც. აღნიშნული ქულების ვერ დაგროვების შემთხვევაში იუნკერს ეძლევა შესაძლებლობა გადააბაროს დასკვნითი გამოცდა. იმ შემთხვევაში, თუ გადაბარების შემთხვევაშიც იუნკერმა ვერ მიიღო 51 ქულა ან მეტი შეფასება, მას უწყდება იუნკერის სტატუსი (ამოირიცხება საგანმანათლებლო პროგრამიდან).

3. შეფასების სისტემა:

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2014 წლის 8 სექტემბრის #1259 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო უმაღლეს საგანმანათლებლო და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებებში გამოცდების ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქცია“ შესაბამისად. იუნკერთა დატვირთვა მოიცავს: ლექციაზე, სემინარზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას, დამოუკიდებელ მუშაობას, საგანმანათლებლო–სამეცნიერო ნაშრომზე (სამაგისტრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას, საგანმანათლებლო–სამეცნიერო ნაშრომის (სამაგისტრო ნაშრომის) დაცვას, სხვა სახის საქმიანობას სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

იუნკერთა ცოდნის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება ითვალისწინებს: შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას; შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა იუნკერს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა. სამაგისტრო პროგრამების საგანმანათლებლო კომპონენტებში შუალედური და დასკვნითი შეფასებისა და შუალედური შეფასების კომპონენტების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილია 51%. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის

ზღვრის ხვედრითი წილია 45% (45 ქულა). კრედიტის მიღების მოთხოვნაა მაქსიმალური (100) ქულიდან 51 ქულის ან მეტის მიღება.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა

გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა რაც ნიშნავს, რომ იუნკერს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, ჩაიჭრა. იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს აკადემიური საბჭო.

იუნკერთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებთან

4. საგანმანათლებლო პროგრამა იუნკერს გამოუმუშავებს შემდეგ სწავლის შედეგებს:

4.1. ცოდნა და გაცნობიერება.

კურსდამთავრებულები მიიღებენ მრავალმხრივ განათლებას თავდაცვის ანალიზში, სოციალურ და სამხედრო მეცნიერებებში.

კურსდამთავრებულებს ექნებათ:

- თავდაცვის ანალიზის, კონცეფციებისა და თეორიების ღრმა და სისტემური ცოდნა, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას შეიმუშაონ ან მონაწილეობა მიიღონ ახალი თეორიებისა და კონცეფციების შემუშავების პროცესში;
- მონაცემთა ანალიზისთვის საჭირო მეთოდების ცოდნა; ეცოდინებათ პრობლემის გადაჭრის მეთოდოლოგია, ოპერატიული დიზაინი და ინფორმაციის მართვა
- თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების ცოდნა, რაც მისცემს მათ ახალი ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას. ისინი შეძლებენ დასახული ამოცანების შესრულებისა და წამოჭრილი პრობლემების მოგვარებისთვის საჭირო გზების გაცნობიერებას.

- ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების ცოდნა და გაცნობიერება, რის საფუძველზეც ისინი შეძლებენ სამხედრო გადაწყვეტილების პროცესისა და ოპერატიული დიზაინის წარმართვის სწორი მიმართულებების გაცნობიერებას.

4.2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ნასწავლი მეთოდების შემოქმედებითად გამოყენება. სამაგისტრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მათ შეეძლებათ:

- საბრძოლო ფუნქციების ინტეგრირება სრული სპექტრის ოპერაციებში
- შესაფერისი მოდელებისა და გადაწყვეტილების მიღების მეთოდების სწორად შერჩევა ეროვნული უსაფრთხოების საკითხების ანალიზისათვის.
- საბრძოლო ძალის ელემენტების კოორდინირება კომპლექსური პრობლემების აღმოსაფხვრელად. დეცენტრალიზებული მართვის პირობებში დამოუკიდებელი და ორიგინალური გადაწყვეტილებების მიღება.
- მონაცემებისა და მტკიცებულებების დამუშავება ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს ალტერნატივებს გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის.
- თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობის მიღება და ამ მიმართულებით კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება. სამხედრო სტრატეგიული ამოცანების მისაღწევად სხვადასხვა ალტერნატივების იდენტიფიცირება და მათი განხორციელების დაგეგმვა;
- უსაფრთხოების საკითხების გადაჭრის მიზნით თეორიული მოდელების შექმნა, გამოცდა და შეფასება.
- თანამედროვე ოპერატიულ გარემოში ეროვნული ძალის ინსტრუმენტების გამოყენება დასახული ამოცანების შესასრულებლად და წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად
- ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების საფუძველზე სამხედრო გადაწყვეტილების პროცესის და ოპერატიული დიზაინის სწორი მიმართულებით წარმართვა

4.3. დასკვნის უნარი.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- ინფორმაციის მართვას და ანალიზს სრული სპექტრის ოპერაციების დროს;
- სწრაფად ცვალებად გარემოში, არასრული ინფორმაციული სურათის პირობებშიც კი კრიტიკული აზროვნების საფუძველზე სწორი და ლოგიკურად არგუმენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას;
- რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების სიღრმისეულ ანალიზს;
- პირველადი ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზისთვის სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებას; მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული საფუძვლიანი დასკვნების ჩამოყალიბებასა და დაცვას;
- პრობლემებისა და კონფლიქტების გამოვლენას თეორიებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და კანონის გატარების დროს; სამხედრო და პოლიტიკური თეორიების გამოყენებით ამომწურავი ანალიზის ჩატარებას;
- მონაცემებთან დაკავშირებით დასკვნების თავმოყრას, გაანალიზებასა და ჩამოყალიბებას სათანადო სისტემებისა და მეთოდების გამოყენებით;

4.4. კომუნიკაციის უნარი.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით კვლევის წარმოების დროს იდეების, ინფორმაციის, მონაცემებისა და თეორიების სინთეზს. ექსპერტებისა და თავდაცვის ანალიზით დაინტერესებული პირებისთვის საკუთარი კვლევის შედეგების ლოგიკურ, სტრუქტურირებულ და თანამიმდევრულ გადაცემას როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით;
- ეროვნული თავდაცვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების არგუმენტირებულად განხილვას; რეკომენდაციების გასაცემად და მათ სისწორეში დასარწმუნებლად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებას;
- პროფესიული და ანალიტიკური საკითხების შესახებ დეტალური წერილობითი მოხსენების მომზადებას;
- თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე დებატების დროს საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად ფორმულირებას და არგუმენტირებულ დაცვას;

4.5. სწავლის უნარი.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- სწავლის პროცესის თანმიმდევრულად წარმართვას და შემდგომი საგანმანათლებლო მოთხოვნების დამოუკიდებლად განსაზღვრას;

- საკუთარი ცოდნის განვითარების სტრატეგიის შემუშავებას;
- სწავლის პროცესში კონკრეტული ნაკლოვანებების განსაზღვრას და მათ აღმოსაფხვრელად ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მომზადებას;

4.6. ღირებულებები.

კურსდამთავრებული შეძლებს:

- პროფესიული საქმიანობის დაგეგმვას პიროვნული თვისებების (აკურატულობა, პუნქტუალობა, მიუკერძოებლობა, გამჭვირვალობა და ა.შ.) საფუძველზე;
- ქვეყნის ინტერესების სამსახურში დგომას მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების საშუალებით;
- სხვისი აზრის პატივისცემას დებატებში მონაწილეობისას;
- ზოგადი ადამიანური ღირებულებების განსაზღვრასა და გაანალიზებას, სხვადასხვა კულტურისა და რელიგიის პატივისცემას;
- ღირებულებების მიმართ საკუთარი და სხვისი დამოკიდებულებების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას;

4.7 სწავლება-სწავლის მეთოდები: საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია აპრობირებული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას:

დისკუსიები/დებატები, გუნდური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური თამაში, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, შესრულებაზე ორიენტირებული სწავლა, სიმულაციური სწავლება და ა.შ. საგანმანათლებლო მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი საგანმანათლებლო კურსების სილაბუსებში.

5. დასაქმების სფეროები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო არის ეთა-ს აკადემიური პროგრამების დამკვეთი და ეთა-ს კურსდამთავრებულთა ძირითადი დამსაქმებელი.

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან სტრატეგიულ პოლიტიკურ სფეროში, მრჩეველთა პოზიციებზე, თავდაცვის სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერ ეროვნულ ორგანიზაციებსა და სხვა სამთავრობო დეპარტამენტებში, რომლებსაც სჭირდებათ ექსპერტული ცოდნა სამხედრო სტრუქტურებთან, მიზნებთან და

თავდაცვის მიმართულებთან დაკავშირებით და თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებში. სამხედრო სექტორთან ერთად, კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ სამოქალაქო სექტორშიც: სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელიც სპეციალიზებულია მიმართულებების დადგენასა და განხორციელებაში: თავდაცვის უსაფრთხოების საკითხებში, კონტრტერორისტულ პოლიტიკაში და სხვა. კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ეროვნული თავდაცვის საკითხების, თავდაცვის უსაფრთხოების კვლევებისა და პოლიტიკური კვლევების განხორციელებაში მონაწილეობა და იმ ძირითად სფეროებში მუშაობა, სადაც ორიენტაცია აღებულია ეროვნულ უსაფრთხოებაზე, უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიმართულების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაზე.

6. თავდაცვის ანალიზის საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები საგამოცდო ტესტისათვის მოსამზადებელი საკითხები;

საქართველოს თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ
3. საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ
4. საქართველოს კანონი სამხედრო სარეზერვოსამსახურის შესახებ
5. საქართველოს კანონი თავდაცვის დაგეგმვის შესახებ
6. საქართველოს კანონი არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ
7. საქართველოს კანონი სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ

საერთაშორისო ურთიერთობები

1. საერთაშორისო ორგანიზაცია (გაერო, ევროკავშირი, NATO)
2. საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი თეორიები (რეალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტრაქტივიზმი, მარქსიზმი)

ლიტერატურა:

1. ალ. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები (თბ. 1996)
2. ალ. რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში (თბ. 2003)

საქართველოს ისტორია

1. რომაელთა ლაშქრობა იბერიასა და კოლხეთში

2. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება ქართლის სახელმწიფოში.
3. არაბობა საქართველოში
4. საქართველოს გაერთიანების სოციალ-პოლიტიკური მიზეზები. ბაგრატ მესამე
5. დავით აღმაშენებელი
6. თამარ მეფე
7. XI-XII ს-ის კულტურა
8. თემურ-ლენგის დაპყრობითი პოლიტიკა და საქართველო
9. შაჰ-აბასის შემოსევები
10. საქართველო XVIII ს-ის პირველ ნახევარში
11. რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება
12. საქართველოს პირველი რესპუბლიკა
13. სსრკ-ს დაშლა და დამოუკიდებლობის აღდგენა

ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორია ტ.I თბ. 2012
2. საქართველოს ისტორია ტ.II თბ. 2012
3. საქართველოს ისტორია ტ.III თბ. 2012
4. საქართველოს ისტორია ტ.IV თბ. 2012
5. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I. თბ. 1971
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. III თბ. 1973
7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV თბ. 1979
8. რევაზ გაჩეჩილაძე საქართველო მსოფლიო კონტექსტში (XX და XXI საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები თბ. 2013

მსოფლიო ისტორია:

1. ალექსანდრე მაკედონელი
2. ძველი რომი
3. არაბთა მიერ წარმოებული დაპყრობითი ომები
4. ჯვაროსნული ლაშქრობები
5. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები
6. აღორძინების ხანა
7. რუსეთის იმპერიის შექმნა. პეტრე პირველი

8. რეფორმაცია და კონტრეფორმაცია
9. 30 წლიანი ომი. ვესტფალიის ზავი
10. განმანათლებლობა და საფრანგეთის დიდი რევოლუცია
11. ნაპოლეონ ბონაპარტე
12. ვენის კონგრესი და 19 ს-ის საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა
13. იმპერიალიზმი და კოლონიური პოლიტიკა
14. პირველი მსოფლიო ომი
15. მეორე მსოფლიო ომი

ლიტერატურა:

1. გ. მელიქიშვილი ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია თბ. 1988
2. ა. წერეთელი ძველი რომი თბ. 1961
3. ლ. სანიკიძე ალექსანდრე მაკედონელი თბ. 1984
4. გ. კუტალია, ე. მამისთვალიშვილი, ნ. კალანდია, დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ისტორია. თბ. 2015.
5. ნ. გელოვანი, თანამედროვე არაბული ქვეყნები, თბილისი, 2008.
6. ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია. ნაწ. 1. თბ. 1998

საკონტაქტო პირები:

სამეთაურო სამტაბო კოლეჯის მეთაური

ვ-პ/კი. დავით ჩხეტიანი

E-mail: dchkhetiani@mod.gov.ge ტელ: 577 19 40 69

სამეთაურო სამტაბო კოლეჯის მეთაურის მოადგილე

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

ვ-პ/კი. გიორგი ლეკვეიშვილი

E-mail: glekveishvili@mod.gov.ge ტელ: 577 19 07 85